

# ხობის მოამბე

№4 (7086) 15 ივნისი,
ხუთშაბათი, 2017 წელი
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

30 მაისს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც საკრებულოში შეიქმნა მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, განისაზღვრა საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება. შემდეგ საკითხად განხილულიქნა განკარგულების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცა თანხმობა პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულის ქუჩის ცემენტობეტონით კეთილმოწყობის სამუშაოებისა და ქალაქ ხობის ქუჩების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოების განხორციელების მიზნით სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

საკრებულოს სხდომაზე ასევე მოსმენილიქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ედიშერ ჯობავას ანგარიში, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ, სადაც საკრებულოს თავმჯდომარემ დეტალურად ისაუბრა ყველა იმ პროექტებზე, რაც გასულ წელს წარმატებით განხორციელდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

საკრებულოს მიერ საკრებულოს 2016 წელს გაწეული საქმიანობა ერთხმად შეფასდა დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე

2–3

## საზეიმო ღონისძიებები ხობის მუნიციპალიტეტში



ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა და შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს: საქართველოს პარლამენტის წევრმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ.

კონცერტის პარალელურად ღონისძიება–„გადავწეროთ ვეფხისტყაოსანი“ მიმდინარეობდა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნაში.

დღის ბოლოს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო პირველობის ფინალური მატჩი გაიმართა. ტურნირის გამარჯვებული ხეთელი ფეხბურთელები გახდნენ, რომლებმაც ფინალურ შეხვედრაში, ხობის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდი პენალტების სერიაში დაამარცხეს.

გამარჯვებულ და საპრიზო ადგილების მფლობელ გუნდებს თასები და სიგელები გადაეცათ.

## ევროპა-საქართველოს ისტორიული არჩევანი



24 მაისს თბილისის საკრებულოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზში ევროპის დღეების ფარგლებში გაიმართა სემინარი–„ევროპა-საქართველოს ისტორიული არჩევანი“. სემინარში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის წევრები, ვიცე–პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ვიქტორ დოლიძე, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი ნინო ბოლქვაძე და საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები.

შეხვედრაზე დისკუსიაში აქტიურად მონაწილეობდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებზე, ვიზალიბერალიზაციაზე და ევროპა-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებზე. ღონისძიება ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, თბილისის საკრებულოსა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით ჩატარდა.

## სამუშაო ჯგუფებს აღჭურვილობა და პრეპარატები გადაეცათ

**6 ივნისს, ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაკომპლექტებული ჯგუფების წევრებს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო სპეციალური აღჭურვილობა და პრეპარატები გადაეცათ**

**მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული 38 ჯგუფი შეიქმნა. ჯგუფის წევრებმა ტექნიკის და პრეპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით სპეციალური ტრენინგები გაიარეს.**

**სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეისყიდა შესაბამისი პრეპარატი და ტექნიკა, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს.**

**საქართველოს მთავრობის განკარგულებით „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების“ ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტისთვის 1243 ჰა თხილის ფართობის დასამუშავებლად საჭირო მუშა–ხელის შრომის ანაზღაურებისთვის 124 300 ლარი და 5-ტონამდე საწვავი გამოიყო. ხოლო იმ ბენეფიციარებს, რომელთაც საკუთრებაში გააჩნიათ 1,5 ჰექტრიდან 5 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი, პრეპარატი უსასყიდლოდ გადაეცათ.**

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე

**30 მაისს გამართულ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მოისმინეს საკრებულოს თავმჯდომარის ედიშერ ჯობავას ანგარიში „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე“.
გთავაზობთ ანგარიშის სრულ ვერსიას.**



მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო,

მივესალმები მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დამსწრე საზოგადოებას, მოწვეულ სტუმრებს.

მაქვს პატივი თქვენს წინაშე წარვსდგე საკრებულოს მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშით.

მოგეხსენებათ, საკრებულო არის პოლიტიკური ორგანო, რომლის მუშაობის ძირითადი პრინციპია საკითხის კოლეგიური განხილვა და გადაწყვეტა. როგორც პოლიტიკური ორგანო, ის მუნიციპალიტეტში გამოხატავს პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას და თავისი არსით და უმთავრესი ფუნქციით არის ადგილობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი. მინდა აღვნიშნო, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავისი შემადგენლობით არის უპრეცედენტო ხობის სინამდვილეში, როგორც მრავალპარტიული, განსხვავებული პოლიტიკური მიმდევრობისა და აზროვნების კუთხით. ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ 2014–2017 წლების მოწვევის საკრებულო შედგება 5 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისგან, 21 მაჟორიტარი და



4 დამოუკიდებელი დეპუტატისგან, მათ შორის შედის თავის დროზე კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ექვსი პარტია. პოლიტიკური წარმომადგენლობის შესაბამისად, მესამე მოწვევის საკრებულოში 2016 წელს საქმიანობას განახორციელებდა 7 ფრაქცია–„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“; „ქართული ოცნება“; „თავისუფალი მოქალაქეები“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „თავისუფლება“, „სამართლიანობისათვის“ და „ხობი“. მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური თუ პიროვნული დამოკიდებულებებისა, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობამ მოახდინა სრული კონსოლიდაცია საერთო საქმის კეთებისთვის. ყველა ჩვენთაგანმა გავითავისეთ, რომ ჩვენი უპირველესი მოვალეობა და ვალდებულება ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამსახურში ყოფნა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაა და ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მაღლა დავაყენეთ მათი ინტერესების დაცვა.

**„მიზანი: გავამართლოთ ხალხის ნდობა, მუნიციპალიტეტი გავხადოთ უფრო წარმატებული.“**

**საკრებულოში, ფუნქციონირებს 5 კომისია:**

სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია.

საფინანსო-სარევიზიო კომისია.

სოციალურ საკითხთა კომისია.

ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია.

საკრებულოს ყველა წევრი გაწევრიანებულია ერთ, ან ორ კომისიაში. საკრებულოს წევრთა მიერ კომისიებზე და ფრაქციის სხდომებზე განიხილება გამგეობის მიერ წარმოდგენილი და კომისიების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტები, რომლებიც საკრებულოს სხდომაზე განხილვამდე წარედგინება საკრებულოს ბიუროს სხდომას, რომელიც საკითხის სრულყოფილად შესწავლის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას მისი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის შესახებ. გარდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა, საკრებულოს კომისიების მიერ სისტემატურად ხორციელდება გამგეობის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშების მოსმენა. კომისიები გამგეობის სამსახურებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები სოფლის მხარდაჭერის, სოციალური და ინფრასტრუქტურული მიზნობრივი პროგრამების, აგრეთვე კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა–განხორციელებისა და მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი სხვა ამოცანების გადაწყვეტის საქმიანობაში.

ამდენად, საკრებულოს ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების მიერ შესწავლილი საკითხები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება სხდომას.

საანგარიშო პერიოდისთვის ჩატარდა საკრებულოს ბიუროს–18 და საკრებულოს–18 სხდომა, მათ შორის–6 რიგგარეშე სხდომა.

2016 წელს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულიქნა 25 ნორმატიული აქტი–დადგენილება, 70 ინდივიდუალური აქტი–განკარგულება, მოსმენილ და შეფასებულ იქნა გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, პერიოდულად განიხილებოდა ინფორმაციები ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

საკრებულოს მიერ 2016 წელს მიღებული ნორმატიული აქტებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი **დადგენილებები:**

ა) ხობის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

გ) ხობის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირების შესახებ;

დ) ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

**საკრებულოს განკარგულებებიდან შეიძლება გამოიყოს:**

ა) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინასებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ;

გ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ;

დ) ხობის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ;

ე) ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ;

ვ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ხობის მოამბეს“ ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

ზ) არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის–„ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

თ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ;

ი) ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ;

კ) ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ;

საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე, საკრებულოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. ყველა ნორმატიული აქტი მიღებიდან მეორე დღეს გამოსაქვეყნებლად იგზავნება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და ასევე ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში, ხოლო საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია 2006 წლიდან დღემდე მიღებული როგორც ნორმატიული, ასევე ინდივიდუალური აქტები.

საკრებულოს მხრიდან განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასა და განხილვას, ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლს. 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მიღებამდე, ის განსახილველად გამოქვეყნდა, როგორც ადგილობრივ პრესაში, ასევე საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე. პროექტი განხილულიქნა მოსახლეობასთანაც, რის შემდეგაც საკრებულოს მხრიდან განხილულ და მხარდაჭერილიქნა 2017 წლის მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტი. რაც შეეხება ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე პერიოდულ ინფორმაციას საკრებულოს სხდომებზე აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილიქნა ბიუჯეტის შესრულების, როგორც ექვსი თვის შესრულების, ასევე 2016 წლის ანგარიში.

საკრებულოს სხდომა საჯაროა. ყოველი სხდომის დანიშვნისას საკრებულოს აპარატის მიერ კეთდება შესაბამისი განცხადება სხდომის ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ. სხდომებს, გარდა მოწვეული პირებისა, ხშირად ესწრებიან საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები. სხდომებისა და საკრებულოს მუშაობის გამჭვირვალობისთვის ხორციელდება საკრებულოს ყველა სხდომის

3

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე

2

ვიდეო გადაღება, სხდომების შესახებ ინფორმაციები ქვეყნდება საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე, საკრებულოს ოფიციალურ სოციალურ გვერდზე და ადგილობრივ პრესაში.

საკრებულოს კომისიებს, ფრაქციებს და მთლიანად საკრებულოს, უფლებამოსილების სრულყოფილად წარმართვისა და მათი საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით ემსახურება საკრებულოს აპარატი, რომელიც დაკომპლექტებულია ახალგაზრდა და კომპეტენტური კადრებით. აპარატის მოსამსახურეები აქტიურად არიან ჩართული საკრებულოს მუშაობაში, საკრებულოს აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობა წარმოაჩენს მთლიანად საკრებულოს მუშაობას. აპარატში შექმნილია 2 განყოფილება–იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება, რომელთა მეშვეობით აპარატში დიფერენცირებულად ხორციელდება ყველა სახის სამუშაო. ელექტრონული სერვისების პროგრამის დანერგვის შემდეგ მოქალაქეები ოპერატიულად, მარტივად და ეფექტურად იღებენ სათანადო მომსახურებას კანცელარიის ოპერატორისგან.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოში 2016 წელს საკრებულოს აპარატის მიერ აღრიცხულია საკრებულოს თანამდებობის პირების სახელზე შემოსული 612 კორესპონდენცია, გაგზავნილია 441, აქედან: უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებიდან– შემოსულია 3, გაგზავნილია 11; სასამართლო ხელისუფლების ორგანოებიდან შემოსულია 12 და გაგზავნილია 4; სამინისტროში და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებიდან შემოსულია 49 და გაგზავნილია 42; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირებიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულია 50 და გაგზავნილია 115; შიდა კორესპონდეციები - 96; სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსულია 10 და გაგზავნილია 19 კორესპონდენცია; გამგეობიდან შემოსულია 122 და გაგზავნილია 250; მოქალაქეთა მხრიდან შემოსულია 366 განცხადება.

შესაბამისად, საკრებულოს აპარატში შემოსული კორესპონდენციის დიდი ნაწილი განცხადებების წილად მოდის, რომელთაგან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განცხადებებს დასაქმებისა და მძიმე ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე დახმარების შესახებ. ასევე ხშირია მომართვები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის, დოკუმენტთა ასლების და ამონაწერების გაცემის შესახებ. ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტის ასლი გაიცემა დაუყოვნებლივ, რისი დასტურიცაა ის ფაქტი, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო დაჯილდოვდა 2016 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის სპეციალური სიგელით. ის საკითხები, რომელიც არ მიეკუთვნება საკრებულოს კომპეტენციას, იგზავნება შესაბამის ორგანოებში რეაგირებისთვის. შედარებით პრობლემატურია მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის შესახებ, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს ამ საკითხის მოგვარებაში დახმარება გაუწიოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

აპარატის მიერ 2016 წელს დამუშავდა და საუწყებო არქივისთვის მომზადდა 2014-2015 წლების კორესპონდენცია და საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომის მასალები.

საკრებულოს თავმჯდომარის მიერ პირად შემადგენლობისადმი გამოიცა 102 ბრძანება, ხოლო საერთო ორგანიზაციულ საკითხებზე–20 ბრძანება.



საკრებულოს თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა სამუშაო დროის დიდი ნაწილი ეთმობა საზოგადოების წარმომადგენელთა მიღებას, მათი პრობლემების შესწავლას და კომპეტენციის ფარგლებში სათანადო კონსულტაციების გაწევას. მსგავს საკითხებზე შეზღუდვები არ არის დაწესებული და ფაქტობრივად, ყოველდღიურ ხასიათს ატარებს. მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარესთან აღრიცხული მოქალაქეთა ვიზიტების რაოდენობა 1412-ს შეადგენს.

საორგანიზაციო და სამართლებრივი კონსულტაციების მიღების მიზნით საკრებულოს მჭიდრო კავშირურთიერთობები აქვს ზემდგომ და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციასთან, სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციასთან.

საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, აღსანიშნავია, რომ საკრებულოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებულთა შორის გენდერულ ბალანსს. საკრებულოს 36 წევრიდან 4 ქალია, აქედან 1 საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეა, ხოლო საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 9 ქალი და 6 მამაკაცი.

საკრებულოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ურთიერთობა აღმასრულებელ ორგანოსთან. საკრებულოს და გამგეობის კოორდინირებული საქმიანობა ძირითადი საფუძველია მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული სამუშაოების წარმატებით შესრულებისა. წარმოდგენილ ანგარიშში არაერთხელ გაესვა ხაზი, რომ საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი გამგეობის მიერ იყო ინიციირებული. საკრებულოს მიერ სისტემატურად განიხილებოდა გამგეობის მიერ მოწოდებული პროექტები თუ წინადადებები. შემოსული პროექტებიდან ყველაზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო შემოთავაზებული წინადადებები აქტიურად განიხილებოდა კომისიების და ბიუროს მიერ. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სხვადასხვა ძირეულ საკითხზე.

საკრებულოსთან არსებული ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის გადაწყვეტილებით წმინდა ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღეს 12 აგვისტოს ცოტნე დადიანის სახელობის პირველი ხარისხის ჯილდო მიენიჭა ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის მწვრთნელმასწავლებელს მკლავჭიდში კობა თუთბერიძეს, ქვეყნისა და ხობის მუნიციპალიტეტის წინაშე სპორტის სფეროში მიღწეული განსაკუთრებული წარმატებისთვის.



**„მიზანი: გავამართლოთ ხალხის ნდობა, მუნიციპალიტეტი გავხადოთ უფრო წარმატებული."**

2016 წელს, საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, შემოსული განცხადებების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცა რეკომენდაცია ხობის საპატიო მოქალაქის წოდებაზე წარედგინა შემდეგი პირები:

**გია გურული**–ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი, ფეხბურთის აღორძინების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

**მერი აბრამია**–მუნიციპალიტეტის წინაშე გაწეული დამსახურებისა და ქვეყნის აღმშენებლობისა და კულტურულ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

**ალექსანდრე არჩაია**–მაღალი პროფესიული ოსტატობისა და პედაგოგიურ საქმიანობაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის;

**ანგული მიქავა**–ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ხობის მუნიციპალიტეტის წინაშე გაწეული დამსახურებისთვის.

მე მოგახსენეთ იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წელს იქნა გაწეული. დამეთანხმებით, წარმოდგენილი ანგარიშიდან თვალნათლივ ჩანს, რომ 2016 წლის განმავლობაში საკრებულო მრავალმხრივ და მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა სხვადასხვა საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. არც თუ მცირედი სამუშაო გაწეული, თუმცა ჩვენ მზად ვართ, მოვისმინოთ დასაბუთებული შენიშვნები, მივიღოთ ობიექტური კრიტიკა, გავითვალისწინოთ საქმიანი წინადადებები. ყოველივე ეს ხელს შეგვიწყობს, მივაღწიოთ ჩვენს უმთავრეს მიზანს–გავამართლოთ ხალხის ნდობა და ხობის მუნიციპალიტეტი გავხადოთ წარმატებული. ღრმად ვარ დარწმუნებული, ყოველი მომდევნო წელი გაცილებით უკეთესი იქნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

ჩვენი ქვეყნის, მუნიციპალიტეტის მომავალი დღეს ჩვენ უნდა შევქმნათ და უფლება არ გვაქვს ხელიდან გავუშვათ ამის შესაძლებლობა, შეცდომებსა და წარუმატებლობას ვერავის გადავაბრალებთ და ვერ ვიმართლებთ თავს ვერც დღევანდელობასთან და ვერც მომავალთან, რადგან უნდა გვახსოვდეს დღეს აქ ვდგევართ და ვქმნით არა მარტო აწმყოს, არამედ მომავალსაც.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი სადეპუტატო საქმიანობის მთავარი მიზანია გავხადოთ ხობის მუნიციპალიტეტი უფრო წარმატებული, რათა განვამტკიცოთ თითოეული მოქალაქისა და ოჯახის კეთილდღეობა და ეკონომიკური აღმავლობა.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს თითოეულ წევრს, საკრებულოს აპარატს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას საკრებულოსთან თანამშრომლობისა და 2016 წელს გაწეული საქმიანობისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მხარდაჭერისა და გვერდში დგომისთვის, თითოეულ ადამიანს, ვისთვისაც მთავარია ხობის მუნიციპალიტეტის წინსვლა და მზადაა შეძლებისდაგვარად ყველაფერი გააკეთოს ჩვენი ხალხის ღირსეული მომავლის მშენებლობის საქმეში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობა, მიღწეული ეკონომიკური მაჩვენებლები და განვითარების ტემპები თითოეულ ჩვენთაგანს განგვაწყობს ოპტიმიზმით და უკეთესი მომავლის რწმენით. მინდა გისურვოთ უკეთესი მომავალი და წარმატებული საქმიანობა ჩვენი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

გმადლობთ ყურადღებისთვის!

**ედიშერ ჯობავა,**

***2017 წელი, 30 მაისი.***

# „ჩემი ვალდებულება ქვეყნისა და ხალხის სამსახურია“

**ნომრის სტუმარია ნანა გვასალია– ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში**



***როგორი იყო გასული წელი თქვენთვის და თქვენი სოფლისთვის?***

–უპირველეს ყოვლისა, მივესალმები ჩვენი გაზეთის მკითხველს და ვუსურვებ ყოველივე კარგსა და ამაღლებულს.

ყოველი წელი განსაკუთრებულია ჩვენი სოფლისთვის. გასულ წელს მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა, ძვირადღირებული ნაპირსამაგრი, წყალმომარაგების ახალი ქსელი, გურიფული–ახალი სოფელი–რკინიგზის სადგურის გზისა და სანიაღვრე არხების გაყვანა და ა.შ.

მრავალ შეჭირვებულ ოჯახსა და ადამიანს გაეწია დახმარება. ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე ყველაფერს აკეთებენ რაც შეიძლება ახლოს იყვნენ ბენეფიციარებთან.

***როდის შევა ექსპლოატაციაში წმიდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია, საბავშვო ბაღს რაიმე სიახლე ხომ არ შეემატება?***

–ჩვენი და ყველა კეთილი ადამიანის წყალობით. ამჟამად სოფლის ეკლესიის გუმბათის მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს, რაც შეეხება საბავშვო ბაღის სიცოცხლისუნარიანობა, დამოკიდებულია კონტიგენტის სიმრავლეზე. ჩვენგან და სახელმწიფოსგან კი ყურადღება ნამდვილად არ მოაკლდება.

ასევე გვაქვს ჩაფიქრებული სხვა საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება.

***რას ფიქრობთ, რა არის ყველაზე აუცილებელი და ღირსეული ხალხისთვის?***

–მრავალი რამაა ხალხისთვის აუცილებელი და ღირებული. უმთავრესი მაინც სამუშაო ადგილების მოძიებაა. დასაქმებული ადამიანი–ღონიერი, შეძლებული ოჯახის საფუძველია, ძლიერი ოჯახი კი ძლიერი სოფლისა და ქვეყნის ხერხემალი, ამიტომაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ შრომისუნარიანი მოქალაქეების დასასაქმებლად.

***საინტერესოა, თანასოფლელებისგან ხომ არ მოდის ინიციატივები ან შეთავაზებები?***

–ახალგაზრდებს, როგორც ყოველთვის, სურთ თავიანთ უბანში ფეხბურთის მინისტადიონის მოწყობა და ამ მიმართულებითაც ბევრი რამ გაკეთდა. შეძლებისდაგვარად კიდევ გავახარებთ ჩვენს ახალგაზრდებს.

მოსახლეობის საერთო სურვილი და თხოვნაა სოფლის ბუნებრივი აირით მომარაგება. ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ და იმედია, ეს პრობლემაც მოგვარდება.

რაც შეეხება სასმელი წყლით მომარაგების საკითხს, რომელიც წლების განმავლობაში აწუხებდა სოფელს და მიუღწეველი იყო, უკვე მოგვარებულია.

გურიფული–ახალისოფელი–ბაქანის გზა სანიაღვრე არხების მოწყობით საკმაოდ ხარისხიანად და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

***თქვენს კარიერაში ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?***

–დასამახსოვრებელი ძალიან ბევრი მქონდა ამ წლების განმავლობაში, გამიჭირდება რომელიმეს გამოყოფა, თითოეული ჩემი თანასოფლელის სიხარული ჩემი სიხარულია, ვცდილობ, შეძლებისდაგვარად მივიღო მონაწილეობა მათ ჭირსა და ლხინში.

***რჩევა, რომელიც თქვენთვის მოუციათ?***

–„ყველა ადამიანში ნათელი ცოცხლობს და ეცადე ყველაში აღმოაჩინო უფალი“–ამას მეუბნებოდა ჩემი სულმნათი და უსაყვარლესი მამა. ის უკეთილშობილესი ადამიანი გახლდათ და მისი ღვთიური მადლი ჩემშიც მსვენარებს. ვცდილობ, მიყვარდეს ყველა და ვიყო ყველაში, როგორც ძალა და სიყვარული.

***სამსახურის გარდა, ამჟამად რა არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?***

–ჩემთვის, პირადად უაღრესად მნიშვნელოვანი გახლავთ მთარგმნელობითი სამუშაოს განახლება. არიან ავტორები, რომლებიც მიხმობენ და როგორც ბატონი დავით წერედიანი ბრძანებს: „გახდნენ ჩემი ცხოვრების და ყოველდღიურობის თანამონაწილეები“.

მთელი არსებით მინდა ეზრა პასუნდის „მორჩილების“ თარგმნა, ვნახოთ რა გამომივა.

***მთავარ ვალდებულებად რას მიიჩნევდით?***

–ჩემთვის, როგორც საჯარო მოხელისა და თემის ხელმძღვანელისთვის, მთავარი ვალდებულება ჩემი ხალხისა და ქვეყნის სამსახურია, რომლის პირნათლად აღსრულება უდიდეს მოქალაქეობრივ ღირსებად მიმაჩნია.

***რა ხდება სოფელში, დაიგეგმა გასაკეთებელი საქმეები, კერძოდ?***

–ზაფხული ძალაში შევიდა ახალი სუნთქვითა და ფეთქვით ჩასახლებულ ყოველ ჩვენთაგანში. ყველაფერი წინაა, დრო თავისას მოითხოვს...

***რას უსურვებდით თანასოფლელებს?***

–ვუსურვებდი ყოველივე კარგსა და ამაღლებულს. სურვილით კი პატრიარქის ეპისტოლეს შევუერთდები „გიყვარდეთ ერთმანეთი, იყავით ერთმანეთში და ცხოვრება ბევრად უფრო საინტერესო და სასიხარულო გახდება!..“

***ესაუბრა***
***ნანი კილასონია.***

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

### ქალაქ ხობში ქუჩების რეაბილიტაცია მიმდინარეობს



ქალაქ ხობში შიდა გზების რეაბილიტაციის ახალი ეტაპი დაიწყო. პროექტის ფარგლებში ასფალტის საფარი დაიგება: ა. შანიძის, ტ. გრანელის, ი. ჭავჭავაძის, ზ. ფალიაშვილის და გუბაზ მეფის ქუჩებზე.

აკაკი შანიძის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ და გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ზაზა ბუკიამ დაათვალიერეს.

ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლის ღირებულებაც 597 ათასი ლარია, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „შარა-გზამშენი პირველი“ ახორციელებს. პროექტის შესაბამისად ასფალტის საფარი ჯამურად 2600 მეტრ მანძილზე დაიგება.

2013 წლიდან დღემდე ქალაქ ხობში 13 ქუჩის რეაბილიტაცია განხორციელდა.

### არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე მომავალი“ ხობის მუნიციპალიტეტში ახალ პროექტს ახორციელებს

არასამთვრობო ორგანიზაცია გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ასოციაცია „მწვანე მომავალი“ ხობის მუნიციპალიტეტში, უკვე მეორედ ახორციელებს პროექტს „ადგილობრივი თემების ხელმისაწვდომობის გაზრდა განახლებად ენერგო–ტექნოლოგიებზე, მათი შესაძლეობლობებისა და ინფორმირებულობის დონის გაზრდის გზით, ხობის მუნიციპალიტეტის ოთხი თემის მაგალითზე“.



პროექტის მიზნია ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა განახლებად ენერგო–ტექნოლოგიებზე, მათი შესაძლებლობებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება ალტერნატიულ, ინოვაციურ და აპრობირებულ ენერგო–ტექნოლოგიებზე, რომელთა დანერგვითაც შესაძლებელია ტრადიციულ ენერგო–რესურსებზე მოთხოვნილების შემცირება, ადგილობრივი ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ღონისძიებებში წვლილის შეტანა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ხობის მუნიციპალიტეტის 4 ადგილობრივ თემში (ახალი ხიბულა, ქარიატა, ხეთა, საჯიჯაო) საინფორმაციო და საგანმანათლებლო სემინარების ჩატარება და შერჩეულ ბენეფიციართათვის, მათ შორის, სამი სოფლის საბავშვო ბაღისთვის მზის წყალგამაცხელებელი კოლექტორების დამონტაჟება.

აღნიშნული პროექტი წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ 2015–2016 წლებში განხორციელებული პროექტის ერთგვარ გაგრძელებას, რომლის მიზანიც იყო ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაზრდა გარემოსდაცვითი მმართველობის საკითხებში, მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

პროექტის სასტარტო ეტაპზე შედგა შეხვედრები მუნიციპალიტეტის პირველ პირებთან, შერჩეული სოფლების რწმუნებულებთან, ასევე საბავშვო ბაღების ხელმძღვანელებთან. დაიგეგმა ერთობლივი სამოქმედო ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში პროექტის ეფექტურად განხორციელებას.

პროექტი ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლების თამონაწილეობით და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF SGP) მცირე გრანტების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.

## მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ქრონიკები

# „მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა...“

*1977 წლიდან საერთაშორისო სამუზეუმო საზოგადოება ყოველწლიურად, 18 მაისს აღნიშნავს მუზეუმის საერთაშორისო დღეს, რისთვისაც მუზეუმების საერთაშორისო საბჭო ყოველწლიურად ირჩევს რაიმე კონკრეტულ, სოციალურად მნიშვნელოვან თემას. მუზეუმის საერთაშორისო დღის 2017 წლის ერთერთი თემაა:“ მუზეუმები და სადავო ისტორიები“: მუზეუმი საუბრობს უთქმელზე. სამწუხაროდ, სადავო ისტორია არ გამორიცხავს ტრავმულ მოვლენებს. ეს ისტორიები, ხშირად ნაკლებადაა ცნობილი მაგრამ ყველა ჩვენგანს ეხება და აღელვებს. წარსულის ცოდნის გაზიარება გვეხმარება თანამედროვე სამყაროს აღქმაში.*

*მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ისტორია მხარეთმცოდნეობის ჯგუფის მოსწავლეებმა დაამთავრა მუშაობა პროექტზე „მოგონებები მეორე მსოფლიო ომზე და ახალი თაობა.“ მოსწავლეები დაყოფილი იყვნენ ჯგუფებად. მოსწავლეებმა გაარჩიეს სასკოლო სახელმძღვანელოში მოცემული წყაროები ამ თემის შესახებ. მოიპოვეს და გაანალიზეს ჟურნალ-გაზეთებში არსებული სტატიები. წაიკითხეს ქართველი მწერლების ნაწარმოებების მოკლე მიმოხილვა. მარად ჭაბუკებად დარჩენილი თაობა. თაობა, რომელმაც განსაკუთრებული სიტყვა თქვა ქართულ ლიტერატურაში. ამ თაობის დიდი ნაწილი მეორე მსოფლიო ომს ემსხვერპლა. ლიტერატურული მასალის მოპოვება თემაზე „დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად, რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს“. (ომში შეწყვეტილი სიცოცხლე).*

*მომზადდა ხელთნაწერი გაზეთი სათაურით: „მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა...“ „ომი და ჩვენი მუნიციპალიტეტის გმირები“.*

*პროექტის ერთი ნაწილი ლიტერატურული კომპოზიცია „ომში შეწყვეტილი სიცოცხლე, შემოკლებული ფორმატით 9 მაისს ხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წარმოადგინეს ბავშვებმა.*

*მუზეუმში მისვლით მოსწავლეებს გაუჩნდათ სურვილი უფრო მეტი სცოდნოდათ მეორე მსოფლიო ომზე და ხობის როლზე ამ ომში. აქედან წამოვიდა იდეა თემის „ომი და ჩვენი მუნიციპალიტეტის გმირები“, რომელიც პროექტის დასკვნით ნაწილს წარმოადგენდა, დაგვეკავშირებინა მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი და ისტორიები ხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაგვეცოცხლებინა თემით „მუზეუმი საუბრობს უთქმელზე“. ჩვენი ჯგუფის წევრები თავთავიანთი ისტორიებით წარსდგნენ მსმენელის წინაშე. თითოეულ მათგანს თემასთან ერთად მოძიებული ჰქონდათ ფოტო მასალა, რომელიც სლაიდების სახით ეკრანზე აისახებოდა, რაც უფრო საინტერესოს ხდიდა მათ ისტორიებს.*

*ღონისძიებას, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია ესწრებოდნენ.*

*გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, გთავაზობთ რამოდენიმე მათგანს.*




## მოგონებათა სკივრიდან

სამკუთხა, გაცრეცილ, ომიდან გამოგზავნილ ბარათს, თურმე ბაბუა, რომან ჯობავა დიდხანს ინახავდა, ის ერთადერთი სახსოვარი იყო, რაც ძმისგან, ნოკოშასგან შემორჩა. ნოკოშა ჯობავა კი ერთ-ერთია იმ ათეულათასობით ქართველთა შორის, რომელიც მეორე მსოფლიო ომში, 1941-1945 წლებში უგზოუკვლოდ დაიკარგა, ან დაიღუპა.

სავალდებულო სამსახური ახალი მოხდილი ქონდა, 19 წლის გაუწვევიათ მეორე მსოფლიო ომში, ბაბუა ძმაზე გაცილებით უმცროსი ყოფილა, ძმაც ბუნდოვნად ახსოვდა. სამკუთხა ბარათები და ფოსტალიონი კი მის მეხსიერებას ქვეცნობიერად შემორჩა. კიევის მისადგომებთან იბრძოდა, ბოლო წერილიც იქიდან მიუღიათ სურათთან ერთად. სურათიდან ჩანს, რომ ჩინს ატარებდა კაპიტნის წოდებით. გადიოდა წლები, ბაბუა დაკაცდა და ძმის ძებნა დაიწყო, მაგრამ ისე გარდაიცვალა, ნატვრა იმისა, რომ თავისი ძმის საფლავი ეპოვა, აუხდენელ ოცნებად დარჩა.

***ლუკა ჯობავა,***
***ხობის №1 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე.***

## შეხვედრა აკაკი ხორავასთან და შეცვლილი პროფესია...

ჩემი მეგობრების მსგავსად მეც მყავდა ჩემს საგვარეულო წრეში მეორე მსოფლიო ომში მონაწილე. მოკლე ისტორია მამამ მიამბო:

მამაჩემის უფროსმა ბიძაშვილმა დავით ჩიტაიამ, სკოლის დამთავრების შემდეგ მოისურვა მამის და ძმის კვალს გაჰყოლოდა–საბუღალტრო ეკონომიკური ფაკულტეტი დაემთავრებინა და საბუთები ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიტანა. ახლობლის ოჯახში ის შეხვდა ცნობილ მსახიობს აკაკი ხორავას. ეს ის პერიოდია, როცა აკაკის ინიციატივით თბილისში თეატრალური ინსტიტუტი ახალი გახსნილია. აკაკის ძალიან მოსწონებია დავითი და უთხოვია საბუთები გამოეტანა უნივერსიტეტიდან და თეატრალურზე ჩაებარებინა. დიდ მსახიობს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და სწავლა თეატრალურ ინსტიტუტში დაიწყო. სწავლის პერიოდში მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა, მან მხოლოდ ერთ სადიპლომო სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. ქართველ თანამებრძოლებთან ერთად ის ომში გაიწვიეს, ოჯახში სამკუთხა ბარათებს აგზავნიდა, სადაც ომის საშინელებაზე წერდა. ომის მიწურულს, 1945 წელის თებერვალში დაიღუპა უნგრეთში. დაკრძალულია ბუდაპეშტში, ძმათა სასაფლაოზე. მე-20 საუკუნის 70 -იან წლებში მისმა ძმამ ალექსანდრემ მოინახულა ძმის საფლავი.

***ბარბარე ჩიტაია,***
***ხობის №1 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე.***

## პაპადმოსაგონარი წლები

1941 წლის იანვრის სუსხიან დღეს გაიწვიეს სოფელ პირველ მაისის მკვიდრი ოთარ ჩოკორაია სამხედრო სამსახურში, სამხედრო ფიცის დადების შემდეგ მსროლელთა დივიზიაში ჩარიცხეს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო კომისარიატის განყოფილებას ეკუთვნოდა. იბრძოდა ქ. ხარკოვში. ომის პეროდს იხსენებდა: ომის მოგონებებთან მაკავშირებს მხოლოდ აუტანელი სიცივე, შიმშილი, უძილო ღამეები, შიში... მაგრამ ყველაფერ ამას გვავიწყებდა უფროსის ბრძანება: „კანონი კანონია, კანონის შეუსრულებლობა ქვეყნის ღალატი, მოღალატეს კი სიკვდილით დასჯა.“

მიუხედავად ტკივილიანი და ცრემლიანი მოგონებისა, რომელიც მას ომთან აკავშირებდა, სიხარულით იხსენებდა ომის დამთავრებით გამოწვეულ სიხარულს. ომში რიგით ჯარისკაცს მიღებული ქონდა დიდების ორდენი და სხვადასხვა სახის მედლები.

***ლუნა ჭაჭია,***
***ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე.***

## „პაპა ერთი ობოლი ბიჭი იყო...“

როდესაც დავფიქრდი, თუ ვინ იყო ჩემი გმირი წინაპარი, მაშინვე ჩემი დიდი პაპა შალვა ალანია გამახსენდა. არ გვბეზრდება ის ისტორიები, რომელსაც დედა გვიყვება.

მე კი თქვენ მინდა გიამბოთ...

პაპა ერთი ობოლი ბიჭი იყო, რომელსაც ცხოვრებამ ბევრი ტკივილი მიაყენა. მუყაით, გამრჯე და ბეჯით ბავშვს მალე ახალი მშობლები გამოუჩნდა და მათ ის შვილივით შეიყვარეს. წარმატებით დაამთავრა ძველი ხიბულის სკოლა და ქვეყნის წინაშე ვალი რომ მოეხადა, სავალდებულო სამსახურში პირველი წავიდა. მშობლები ნალოლიავები შვილის ჯარში „გაბარებას“ ვერ ეგუებოდნენ, მაგრამ... 19 იანვარს ნათლისღების დღეს სავალდებულო სამხდრო სამსახურში წავიდა. დედობილი მორწმუნე ქალი იყო, სანთელი დაანთო ხატების წინაშე და შვილობილი შეავედრა უფალს... ალი გაიცლიცა... ლამის ჩაქრა... დედა მიხვდა რომ შვილს დიდი განსაცდელი ელოდა, მხურვალე ლოცვით ჩააბარა ღვთისმშობელს შვილი. ბიჭმა სამხედრო სამსახურშიც გამოიჩინა სიყოჩაღე... სიგელებითა და მადლობებით ბრუნდებოდა სახლში, ხარისხიც მიიღო. ხარობდა ოჯახი... სოფელი ელოდა ახალგაზრდა ჯარისკაცს..

1941 წელი... ქვეყანა ყველაზე მაშტაბური და სისხლისმღვრელი ომისთვის ემზადებოდა, სახლში მომავალ პაპასაც გზადან მოუწია დაბრუნება. ადამიანების სულისკვეთება გაჟღენთილი იყო პატრიოტიზმით, სამშობლოს დაცვის სურვილით. დიდი ბაბუა პირველი დღიდან ჩაერთო ომის ქარცეცხლში... სახლში კი ამაოდ ელოდნენ „ჩინიანი“' შვილის დაბრუნებას. დედობილი თავშლის ყურით იწმენდა ცრემლიან თვალებს, გულს ტკივილი უსერავდა, მაგრამ ამაყობდა მისი ვაჟკაცი შვილით... შალვა კი მედგრად ებრძოდა მტერს წინა ხაზზე. ბევრი ტკივილი, შიმშილი, სიკვდილი, ცეცხლი და გოდება უნახავს პაპას 4 წლის მანძილზე. მაგრამ სამშობლოს დაკარგვის შიშმა, ზურგს უკან დარჩენილი მშობლების, დაღუპული მშობლების საფლავები ძალას მატებდა 20 წლის ჭაბუკს.

>>>>>>>>>> 6

5

ბევრჯერ მოწყვეტილა მის გვერდით მებრძოლი, ბევრჯერაც შეუძახნია თავისთვის, რომ ებრძოლა სამშობლოსათვის, სიცოცხლისათვის. თავად დაჭრილს, მხარით უთრევია მეგობარი. რამდენიმე დღე გარდაცვლილი მეგობრის გვერდით იწვა დაჭრილი პაპა, ვიდრე რაკასოვსკის გვარდიის მებრძოლები იპოვიდნენ. ჰოსპიტალში რამდენიმე დღე ებრძოდა სიკვდილს. გრძნობდა, როგორ უღებდნენ დაცხრილული სხეულიდან ტყვიებს. გოდებისა და კვნესის ხმა ახშობდა ირგვლივ ფეხის ნაბიჯებს, ოთახი ვერ იტევდა დაჭრილებს.

დედა მიყვებოდა–დღესაც მახსოვს ბაბუას ნატყვიარი სხეული. ჭრილობები მკერდზე, მკლავზე, ფეხებზე, თავში... ბაბუა ამბობდაო: ეს ჩემი ცხოვრების ჭრილობებია, რომელიც ყოველ დღე ომში მაბრუნებსო.

მაგრამ წინ უფრო დიდი განსაცდელი ელოდა. ჰოსპიტლიდან იმ პირობით გამოწერეს რომ დემობილიზირებული სახლში დაბრუნდებოდა. მაგრამ არც აქ შეეპუა ავადმყოფობას. შემდგომში იხსენებდა თურმე: „სახლში როგორ წამოვსულიყავი, მტერი გვიტევდა, კაცების მაგივრად ომში ქალებიც მიდიოდნენო“... და ისევ ომში ჩაერთო. უფროსი სერჟანტი, მამაცობისთვის მედლებით გულდამშვენებული, ებრძოდა მტერს..ჯერ უკრაინაში...ფეხით გადაიარა მთელი ბელორუსია, 1945 წლის გაზაფხულს კი პოლონეთის საზღვართან შეხვდა. გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადებოდა გვარდია. წინ სისხლისმღვრელი ბრძოლა ელოდათ, მტერი ძალების მობილიზებას ახდენდა, რადგან გრძნობდა ომი წაგებული ქონდათ.. ბრძოლები გამთენიისას დაიწყო... შეუვალი და სწორუპოვარი..ან სიკვდილი ან გამარჯვება.. მტერი თანდათან უკან იხევდა, რაკასოვსკის გვარდია შეტევაზე გადავიდა, ბრძოლაში საჰაერო ძალები ჩაერთო. წინ, პოლონეთისკენ მიიწევდნენ, მსხვერპლი დიდი იყო, მაგრამ მიზანს უახლოვდებოდნენ... ჯარი მდინარე ოდერზე გადასასვლელად ემზადებოდა, როცა მტრის ტყვიამ პაპა მდინარეში ჩააგდო. ის თავში დაიჭრა... სისხლმა სხეული გაუთბო... უფალს და მდინარის დინებას მიენდო... აღქმა დადო, თუ გადარჩებოდა შვილს ოდერის დაარქმევდა... მოხდა სასწაული... პაპა გადარჩა... როგორ არ ვიცით... ამაზე ინფორმაცია თვითონაც არ ჰქონდა... და 1947 წელს 19 იანვარს ნათლისღების დღეს, პაპა ძველ ხიბულას დაუბრუნდა პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიდების ორდენით და მედლით მამაცობისთვის... გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და შალვა ალანიას სახლში პირველი სიხარული გაჩნდა–ოდერი ალანია... ის დღეს სამხედრო პოლკოვნიკია...



***სესილი სიჭინავა,***
***ხობის მე-2 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე.***

# „ჩემი დიდი წინაპრები...“

II მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირიდან, უკრაინასა და რუსეთის შემდეგ, საქართველოს ყველაზე დიდი დანაკარგი ჰქონდა-900 000 გაწვეული მეომრიდან ნახევარზე მეტი არ დაბრუნებულა. შორს რომ არ წავიდეთ, იმდროინდელ ქართულ ლიტერატურაშიც არის აღწერილი, თუ როგორი დაცლილი იყო ქართული სოფლები. იშვიათი იყო ოჯახი, სადაც ჯანმრთელი მამაკაცი მოიძებნებოდა. ჩემი წინაპრების ოჯახებიდანაც იყვნენ ომში წასულნი. ომს თავისი წესები და კანონები ჰქონდა, კანონით ოჯახში მყოფი მამაკაცებიდან ერთს ტოვებდნენ, დანარჩენი მიჰყავდათ. ჩემი ბაბუების ძმების-ალანიების შემთხვევაში კი მოხდა ისე, რომ წაიყვანეს ხუთივე ძმა და არცერთი არ დაბრუნებულა. ამ მძიმე ტრამვას ვერ გაუძლო გულდათუთქულმა დედამ და თავი დაისაჯა–სიკვდილის ბოლო წუთამდე ფეხზე ბორკილებდადებული დადიოდა.

მეორე ისტორია დიდ ბაბუას ეხება, ისიც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა, ოჯახმა მისი დაღუპვის შესახებ ცნობა მიიღო, თუმცა სხვა ვერსიებიც არსებობდა, თითქოს ტყვედ ჩავარდა და არ ჩამოვიდა, რადგან ელოდა დასჯა იმის გამო, რომ ტყვედ იყო ჩავარდნილი. ტყვედ ჩავარდნილებს კი საბჭოთა კავშირი როგორც მოღალატეებს ისე უყურებდა და სჯიდნენ, როგორც სამშობლოს მოღალატეს. არსებული ვერსიით, ის ტყვეობიდან პოლონეთში გაიქცა და ოჯახიც შექმნა.

რაც შეეხება მამაჩემის მხრიდან, ბებიას მამა და ძმა ყოფილან ომში გაწვეულები, ბიძები უგზოუკვლოდ დაიკარგნენ, ხოლო დიდი ბაბუა, გიორგი არსოშვილი, რომელიც ქერჩში იბრძოდა და უმცროსი ლეიტენანტი იყო. ბრძოლებში რამდენჯერმე დაიჭრა, ბოლო ჭრილობა ფეხში მიიღო, მკურნალობის შემდეგ კი დემობილიზებულიქნა.

ეს, რა თქმა უნდა მცირე ინფორმაციებია, რაც მე მოვიპოვე, მაგრამ მიხარია, რომ შემიძლია ჩემი წინაპრებით ამაყი ვიყო.

***გიორგი ბუკია***
***ხობის №1 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე.***

*მოამზადა* ***ნინო გერგაიამ,***
***მოსწავლეთა ცენტრის, ისტორია-მხარეთმცოდნეობის სპეციალისტი.***

## მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ქრონიკები

# „ბუნება მბრძანებელია"

ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მხატვრული კითხვისა და ლიტერატურათმცოდნეობის ჯგუფის მოსწავლეებმა ნახეს ამ სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით მომზადებული ანიმაციური ფილმი „ბოცო და გვანცა“



გვანცამ ბოცოს მოჩურჩულე მთის წვერიდან საოცარი ხედი უნდა აჩვენოს, თუმცა როცა ისინი მთის წვერზე ადიან გადმოიხედავენ, ტყე გაკაფული ხვდებათ, გარბის ცხოველები, ფრინველები, უკმაყოფილებას გამოთქვამენ ადამიანების მიმართ, რომლებმაც გაჩეხეს მათი საბინადრე ადგილი–ურთხმელის ტყე, დახოცეს გადაშენების პირას მდგარი ნადირ-ფრინველი. დაშრა წყარო, ჩამოიშალა მთის ფერდობი...

ფილმის ნახვის შემდეგ ბავშვებმა ჩამოაყალიბეს საერთო აზრი, რომ უნდა გავუფრთხილდეთ ბუნებას–ტყეს, წყალს, მდინარეს,–ჩვენს ფლორას და ფაუნას, რომ თუ არა ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულობა, შედეგიც სავალალო გვექნება, ვერ გადავარჩენთ ჩვენს პლანეტას–დედამიწას, რამეთუ „ბუნება მბრძანებელია!“

* * *

წიგნის კვირეულის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მხატვრული კითხვისა და ლიტერატურათმცოდნეობის I-II ჯგუფის მოსწავლეები და მათი მშობლები თედო სახოკიას სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ესტუმრნენ.

–როგორც ვიცით, ბიბლიოთეკა ბერძნული სიტყვაა და წიგნის საცავს ნიშნავს, გვინდა ვიცოდეთ სად და როგორ შეგვიძლია ვისარგებლოთ ჩვენთვის საჭირო ლიტერატურით, ვიცით ისიც, რომ თედო სახოკია სოფელ ხეთაში დაბადებულა. გვაინტერესებს რომელი წლიდანაა ეს ბიბლიოთეკა მისი სახელობის და რაიმე ხომ არ აკავშირებდა მას ხობში მაშინ არსებულ ბიბლიოთეკასთან. გმადლობთ გულთბილი შეხვედრისთვის თქვენ და თქვენს თანამშრომლებს დიდი ინტერესით მოგისმენთ!–მიმართა ბიბლიოთეკის დირექტორს ქალბატონ ლუიზა ცანავას ჯგუფის მოსწავლე ნიკოლოზ კორტავამ.

ქალბატონმა ლუიზა ცანავამ მოსწავლეებს დაათვალიერებინა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი, საგანგებოდ ბავშვებისთვის მოწყობილი გამოფენა. მათი ყურადღება განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანის“ სასაჩუქრე გამოცემამ მიიპყრო. შემდეგ წიგნის საცავში გადაინაცვლეს, მიიღეს ყველა საჭირო რეკომენდაცია წიგნის შერჩევისა და ბიბლიოთეკის მკითხველებად გაწევრიანების შესახებ და მაგიდებთან რიგიც გაჩნდა–პირველი სწორედ ნიკოლოზ კორტავა გახდა ბიბლიოთეკის მკითხველი.

პროექტის „ვიმოგზაუროთ წიგნის სამყაროში“ წამყვანმა ქრისტინა ფარცვანიამ ბავშვებს ნინო ცირამუას ზღაპარი „ჩე ანუ თეთრი ქალაქი“, ხოლო სვეტა ბუკიამ ზღაპარი „ალალი კაცი“ და გამოცანები წაუკითხა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მენეჯერმა ქალბატონმა ნაირა ბერაიამ მოსწავლეებს მათ მიერ შერჩეული ლიტერატურებიდან ნაწყვეტების წაკითხვა შესთავაზა. ახმაურდა დარბაზი, იხალისეს ბავშვებმა, მშობლებმა. უმცროსი ჯგუფის მოსწავლეებმა წარმოადგინეს კომპოზიცია „წიგნია ცოდნის ლამპარი“ და წაიკითხეს აფორიზმები „ვეფხისტყაოსნიდან“.

თამარ მეფის ხსენების დღეს მხატვრული კითხვისა და ლიტერატურათმცოდნეობის ჯგუფის მოსწავლეები ისევ თედო სახოკიას სახელობის ბიბლიოთეკას ეწვივნენ და სურვილი გამოთქვეს პოეზიის ერთი საათი თამარ მეფისადმი მიეძღვნათ. ბავშვებმა წაიკითხეს ხალხური და ქართველი პოეტების ლექსები, წარმოადგინს ლიტერატურული კომპოზიცია „როგორც არ არის ორი მზე ცაში, ისე ერთი ხარ ქართლში თამარი!“

–„წუხელ ერთ ძველ კოშკთან ღამე ვათიეთ, სვანს ვეკითხები: რა კოშკიამეთქი? თამარისაო!

დღეს საღამოს შინ დავბრუნდი. მასპინძლის შვილიშვილი დაგოგავდა ეზოში მივეალერსე. სახელი რა გქვია მეთქი?–თამარიო!

საქართველოში ხომ ყოველ მესამე ციხეს თამარი ჰქვია–ყოველ მესამე ქალს თამარი!, მაგრამ მაინც მაჟრჟოლებს ამ სახელის გაგონებასას“–კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებიდან“ ამოღებული ამ ციტატით დაასრულა კესო კობახიძემ პოეზიის საათი.

დიდი სითბო და სიყვარული იგრძნეს ბავშვებმა ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომლისგან და იმ რწმენით დავტოვეთ იქაურობა, რომ ისინი უკვე დამოუკიდებლად დაადგებიან ბიბლიოთეკისკენ მიმავალ გზას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის მხატვრული კითხვისა და ლიტ.მცოდნეობის ჯგუფის მოსწავლეები გასული სასწავლო წლიდან ჩართულნი არიან პროექტში „ჩვენ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“. რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერით გაიხსნა.

ტექსტის გადაწერაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ბერაიამ, საჯარო სამსახურებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

***მაია კუჭავა,***
***მხატვრული კითხვისა და ლიტმცოდნეობის სპეციალიტი.***

## ინტერვიუ

# „მუსიკა ჩემი ჰობია...“



***გააცანით თავი „ხობის მოამბეს“ მკითხველებს.***

–**ლაშა კვიკვინია**–დავიბადე 1987 წლის 4 იანვარს, ხობის მუნიციპალიტეტის ერთ ლამაზი მდებარეობის მქონე სოფელ პირველ მაისში. დავამთავრე ესტატე შუშანიას სახელობის საშუალო სკოლა. შემდეგ იყო სტუდენტობის წლები... სულ სხვა გაქანება და ცხოვრების ახლებური ხედვა.

***თქვენი პირადი ცხოვრების შესახებ მოგვიყევით.***

–ჩემი მშობლები ნონა თოლორდავა და თენგიზ კვიკვინია გახლავთ. როგორც ყველა ბავშვი, მეც ცელქი ვიყავი, მაგრამ როგორც მახსოვს შრომისმოყვარეც. არც სწავლაში ჩამოვრჩებოდი. უფრო მეტად მუსიკალურ საკრავებს ვესწრაფოდი. სახლში ბებიას ჰქონდა ჩონგური, გიტარა და მომწონდა მათთან „გასაუბრება“. ბებია საქმიანობისას მუდამ ღიღინებდა. ვიცოდი კარგად მღეროდა. ასე მეგონა, ჩვენთან კარგი აურა სუფევდა.



***ლაშა, როდიდან დაიწყო თქვენი კარიერა?***

–ჩემში მუსიკის ნიჭი ჯერ კიდევ 4 წლის ასაკში შეამჩნიეს, რაც ბებია ლამარასა და ბაბუა ოთარისგან გენეტიკურად გადმომეცა. ისინი ის ადამიანები იყვნენ, ვინც ხობის ხალხური სიმღერების ანსამბლ „კოლხეთში“ მღეროდნენ და ამით ქართული ხალხური სიმღერის შენარჩუნებას უწყობდნენ ხელს. სწორედ, რომ ჩემი პირველი მუსიკალური ნაბიჯები ხალხური შემოქმედებით დაიწყო.

მახსოვს სცენაზე გამოსვლის წინ ჩემი პირველი განცდები. ბებიას ნაჩუქარ მოჩუქურთმებულ, უიშვიათეს ჩონგურზე ვუკრავდი და ვმღეროიდი. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პარალელურად მშობლებმა შემიყვანეს ხობის კულტურის სახლთან არსებულ საესტრადო სტუდიაში, რომელიც წარმატებით დავამთავრე. თანაც ხალხურ ანსამბლ „კოლხეთშიც“ ვმღეროდი და ვმონაწილეობდი სხვადასხვა ფესტივალებში. სკოლის დამთავრებისთანავე ჩავაბარე შოთა მილორავას სახელობის თბილისის სახელმწიფო-საესტრადო სასწავლებელში, სადაც ჩემი გიტარის მასწავლებელი ცნობილი პიროვნება, უნიკალური მუსიკოსი კაკო ვაშალომიძე გახლდათ.

სტუდენტობის პერიოდში სწავლის პარალელურად ვუკრავდი სხვადასხვა ბენდებში. ვთანამშრომლობდი ხმის ჩამწერ სტუდიებთან, ასევე უნიჭიერეს კომპოზიტორ ჭაბუკა ამირანაშვილთან, მერაბ მამულაშვილთან, მყავდა მოსწავლეები.

2008 წელს პატრიოტული სიმღერების ფესტივალ „პატრინოტში“ მივიღე მონაწილეობა. შევასრულე მერაბ მამულაშვილის „შენ ხარ ქართველი“.

2010 წელს სახალხო მეგა-პროექტ „ნიჭიერის“–ნახევარფინალისტი გავხდი. დღემდე მომყვება ის სასიამოვნო განცდა და ემოცია, რაც იქ განვიცადე, ასევე ხალხის თანადგომა და სითბო.

თბილისში მრავალწლიანი მოღვაწეობის შემდეგ დავუბრუნდი ჩემს მუნიციპალიტეტს. მუშაობა დავიწყე ხობის კულტურის სახლში. ვმღეროდი ხალხური სიმღერების ანსამბლ „კოლხეთში“. პარალელურად ჩამოვაყალიბე ბავშვთა მუსიკალური ბენდი „ახალგაზრდული ხმები“, გვქონდა წარმატებული სოლო კონცერტები. მოწვევით მონაწილეობა მივიღეთ ზუგდიდის რადიო „ათინათის“ დილის მუსიკალურ ჩართვაში.

მინდა გითხრათ, ხობში ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის, რაც უზომოდ მახარებს.

ვთანამშრომლობ აგრეთვე ზუგდიდის ცენტრ „ოდიშთან“, ვარ ბენდ UNDER-7–ს ხელმძღვანელი და სოლო გიტარისტი.

***თქვენი ბენდის სახელია UNDER-7. რატომ? რა ისტორია აქვს ამ სახელს?***

–დიახ, ვხელმძღვანელობ და ვუკრავ ამ ბენდში. ბენდმა თავისი არსებობის საწყის ეტაპზე მონაწილეთა სახით მრავალი ცვლილება განიცადა, რაც გარკვეულწილად სირთულეებს ქმნიდა და ამიტომაც სახელიც აქედან გამომდინარე დაერქვა– UNDER-7, ანუ 7-ს ქვეშ ბენდმა, საბედნიეროდ, მიიღო საბოლოო სახე და ერთობლივად შევუდექით ამ დიდ საქმეს, რასაც ბენდი აკეთებს. ეს არის ის, რასაც საკუთარი სიმღერების შექმნა ჰქვია.

***გაგვაცანით თქვენი ბენდის ბიჭები...***

–ბენდის წევრები არიან სოლისტი და ბასგიტარისტი **ბუბა სორდია**, რითმგიტარა და ვოკალი–**გიორგი მაკალათია**, დასარტყამი ინსტრუმენტი–**ბექა ესებუა**. ბიჭები პროფესიონალები, კარგი მუსიკოსები არიან. ჩვენ ერთი გუნდი ვართ, კარგი მეგობრები და ერთმანეთისთვის უახლოესი ადამიანები. ბენდი და ჩვენ ვუყვარვართ ხალხს და ეს უდიდესი ჯილდოა ჩვენთვის.

***რა ჟანრის მუსიკას უკრავთ. ამჟამად ყველაზე დიდი პოპულარობით რომელი სიმღერა სარგებლობს?***

–ჩვენი ბენდის სიმღერები ჟანრობრივად მიეკუთვნება „როკს“, „ბლუზს“, „ფოლ-ფანკს“ სიმღერებიდან გამოვარჩევთ სიმღერას „მზეო ამოდი“, რომლის ლექსი პაიკიძის კრებულის „SOUND-URISK“ გახდა.

***როგორც ჩვენთვის ცნობილია, გქონდათ გასვლითი კონცერტები, რა ტიპის კონცერტები იყო და სად?***

–გვქონდა უამრავი კონცერტი და წარმატებები. გავიხსენებ ჩვენს პირველ ანუ ქალაქგარეთ გასვლას. ფოთში მონაწილეობა მივიღეთ საერთაშორისო ფესტივალ „თოლიაში“, სადაც გრამპრი ავიღეთ სიმღერით „ჰარირა“. ეს სიმღერა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერების პოპურია, რომელიც დიდი წარმატების მომტანი გახდა. მუსიკა ჩემთვის ყველაფერია, ის ჩემი ჰობია.

–2016 წლის დეკემბრის ბოლოს გასტროლებით ვიყავით ბულგარეთში-სოფიაში, საიდანაც დიდი წარმატებით დავბრუნდით. კიდევ ერთი გრამპრი შევმატეთ ჩვენს ბენდს. აგვისტოში მიგვიწვიეს ისევ ფესტივალზე. მონაწილეობა მიგვიღია აგრეთვე ბევრ საქველმოქმედო კონცერტში. სადაც ვეხმარებით ისეთ ადამიანებს, რომელთაც ჯანმრთლობის მხრივ დიდი პრობლემები აქვთ და ყველაზე მეტად სჭირდება. თანადგომა. თბილისში ვიყავით მიწვევით, სადაც სრული ანშლანგი იყო. 25 აპრილს გვქონდა ამერიკის დღეებთან დაკავშირებით კონცერტი.

2017 წლის იანვრის თვიდან ვარ ზუგდიდის ცენტრ ოდიშთან არსებული მეორე ბენდის ,,MIX,,-ის სოლოგიტარისტიც. ეს არის ბენდი, რომლის წარმატებისკენ მიმავალი ნაბიჯები ახლა დაიწყო. თან ხობში ვმუშაობ, საესტრადო სიმღერების სტუდიას ვხელმძღვანელობ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში. ვარ ანსამბლ „კოლხეთის“ წევრი.

***გეგმავთ თუ არა ხობში კონცერტს?***

–ხობში მყავდა UNDER-7 ჩამოყვანილი, რამდენიმე ნომერი დავუკარით, რადგან მოსწავლეების ბენდის სოლო კონცერტი მქონდა. ზოგიერთმა მოსწავლემ ჩემს ბენდთანაც დაუკრა, რაც ერთგვარი სტიმული იყო მათთვის.

დიდი სიამოვნებით ჩავატარებდი ხობში კონცერტს, მაგრამ მოგეხსენებათ, ამჟამად ხობის თეატრში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

მომავალში ეს რეალობად იქცევა.

***როგორია თქვენი სამომავლო მიზნები? „ხობის მოამბე“ გისურვებთ წარმატებებს!***

–პირველ რიგში უახლოეს მომავალში ვაპირებთ ჩვენი სიღერების ჩაწერას. ზუგდიდში ვფიქრობთ კიდევ ერთი გრანდიოზული სოლო კონცერტის გაკეთებას.

დიდი მადლობა გაზეთ „ხობის მოამბეს“ ჩემით დაინტერესებისთვის. წარმატებებს გისურვებთ!

*ესაუბრა*
***ნანი კილასონია.***

## სპორტი

### ხობელი სპორტსმენის წარმატება



ბელგრადში გამართულ ჭაბუკთა შორის ევროპის პირველობაზე წარმატებით იასპარეზა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების წევრმა, „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა **დავით გვასალიამ**.

ხობელმა ფალავანმა მესამე ადგილისთვის გამართულ შეხვედრაში რუსი ანდრეი ნიკიტინიხი 3:19 წუთში ქულების აშკარა უპირატესობით–11-2 დაამარცხა და 35 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ულოცავს წარმატებულ სპორტსმენს გამარჯვებას.

### ტურნირი მკლავჭიდში

ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის სასპორტო სკოლის ტურნირი მკლავჭიდში გაიმართა. ტურნირში გამოვლინდნენ გამარჯვებულები როგორც მარჯვენა ასევე მარცხენა მკლავზე. სპორტული ღონისძიების დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია.

### ღია პირველობა ლელოში

სამეგრელოს რეგიონული ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებით, ქალაქ ფოთის სარაგბო ბაზაზე „პარკი არენა“ გაიმართა სამეგრელოს ღია პირველობა ლელოში, რომელშიც ხობის გუნდიც მონაწილეობდა. სპორტულ ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ლელოს ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი



დავით კილასონია, ვიცე პრეზიდენტი გიორგი კობახიძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის ლელოს ფედერაციის პრეზიდენტი გაიოზ მონიავა, სამეგრელო-ზემო სვანეთის ლელოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია.

# 1 ივნისი–ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე!

ულამაზესი დღე, რომელიც მხოლოდ ბავშვებს ეკუთვნით, პირველად 67 წლის წინ 1950 წლის 1 ივნისს აღინიშნა და მას საერთაშორისო დღის სტატუსი მიეცა.

ბავშვთა დაცვის დღეს მსოფლიოსთან ერთად სრულიად საქართველო და ხობის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად განსაკუთრებით ზეიმობს. წელს კი ჩვენს მუნიციპალიტეტში პომპეზურად აღინიშნა ეს დღესასწაული, რადგანაც ჩვენთან გამგეობისა და საკრებულოს ინიციატივით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების–საბავშვო ბაგა-ბაღების კეთილმოწყობა, მათდამი მზრუნველობა და ყურადღება №1 ამოცანადაა ქცეული.

## „ეს დღე თქვენია!“

დღესასწაულის წინა დღეს ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის სცენა ა(ა) ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი გაერთიანების მესვეურთ ძალზე ლამაზად და ფაქიზად მოურთავთ, მაგრამ სცენის მთავარი გამლამაზებლები და საინტერესონი ხობის №1, №2 და პირველი მაისის ბაგა-ბაღების პატარები–ლამაზად ჩაცმული, განსაკუთრებით გალამაზებული, გალაღებული პატარები აღმოჩნდნენ. (ბაღების მთავარი სპეციალისტები: ნონა ალანია, ნარგიზა ტუღუში, ლელა ქანთარია).

რა სჯობდა პატარა თვალებხატულა გოგო–ბიჭების ნახვას. ამ დღეს უფრო ათბობდა და მეტ ელფერს მატებდა მომღიმარი და მოალერსე თვალების მქონე ადამიანები–პატარების მშობლები. მოწვეული სტუმრები, თავად გამომსვლელთა თანატოლები...

ეს ზეიმი საკუთარ ზეიმად ექცათ აქ დამსწრე ადამიანებს, მოწვეულ სტუმრებს–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გოჩა ქაჯაიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ დოდო გაბუნიას, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორს ბატონ ბორის ბერაიას, მის მოადგილეს ქალბატონ ხათუნა ხორავას, მშობლებს, ჟურნალისტებს, ოპერატორებს და ყველა მათ, ვისთვისაც ძვირფასია პატარები და მათი შემოქმედება.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ბავშვებმა განა მარტო თავიანთ ბაღებში, არამედ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სცენაზე აღნიშნეს.

ღონისძიების წამყვანი–სკოლამდელთა სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორის მოადგილე, ქალბატონი ნონა შამათავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას,–მივესალმები ყველას, განსაკუთრებით იმ პატარებს, რომლებიც ამ დარბაზში მრავლად არიან, მათ, ვინც ამჟამად კულისებში დგანან და მოუთმენლად ელიან თქვენთან შეხვედრას, რათა თავიანთი ცეკვებითა და სიმღერებით გაგვილამაზონ ისედაც ლამაზი და სანუკვარი დღე. ეს დღე თქვენია, ჩემო პატარებო, გილოცავთ!..


№1 საბავშვო ბაღი

საოცრად ლამაზები იყვნენ პატარები, რომელთაც სცენა დაეთმოთ სიმღერით–„ეს დღე მხოლოდ ჩვენია!“ მაყურებლის წინაშე ხობის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები წარსდგნენ. მათ აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

სცენა დაეთმო №2 ბაღელებს. მათ ულამაზესი რიტმული ცეკვა „ვეშგურუ“ შეასრულეს. სანაცვლოდ პატარებმა მქუხარე ტაში და შეძახილები შეაგებეს.


№2 საბავშვო ბაღი

–ნამდვილად ცეცხლი დაანთეს ჩვენმა პატარებმა. ეს ცეცხლი აღარ განელდება, რადგან თქვენს წინაშე ცეკვით „ჩარგზია“ კვლავ წარსდგებიან ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები,–მოისმის წამყვანის ხმა და სცენა პატარებს დაეთმოთ. ულამაზესმა ბავშვებმა მართლაც ცეცხლი დაანთეს. შემდეგ, უმშვენიერესი ფორმებითა და ულამაზესი „ჩიტების ცეკვით“ სცენა №1 ბაღელებს დაეთმოთ.


პირველი მაისის საბავშვო ბაღი

–ხომ არ მოიწყინა დარბაზმა? არა? ახლა უფრო გახალისდებით,–ისმის ნონა შამათავას ხმა.–თქვენს წინაშეა პირველი მაისის საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები ცეკვით „პოპური“... ყველაფერი ძალზე მომხიბვლელი იყო, შემდეგ სცენა კვლავ ხობის №2 ბაღელებმა დაიკავეს და ენერგიული ცეკვა „როკენროლი“ შეასრულეს. შემდეგ კვლავ პირველმაისელი ბავშვები აღმოჩნდნენ მაყურებლის წინაშე. პატარებმა „ტვისტის“ ცეკვით გაგვაოცეს. ძალზე ლამაზი იყო № 1 ბაგა-ბაღის აღსაზრდელების მიერ შესრულებული „ცეკვა–რგოლებით“.

უცხოური ცეკვების შემდეგ ქართული სახასიათო ცეკვის ნახვის მომსწრენიც გახდნენ მაყურებლები. სცენაზე მართლაც ნამდვილი სასწაული დატრიალდა. დარბაზში მსხდომთა წინაშე აღმოჩნდნენ №2 ბაგა-ბაღის პედაგოგები და 5–6 წლიანთა ორივე ჯგუფის პატარა მოცეკვავეები. მათ ცეკვა „რაჭული“ ოსტატურად შეასრულეს.

ცეკვების ტურის შემდეგ სცენა კვლავ პირველი მაისის ბაღის აღსაზრდელებს დაეთმო. მათ სიმღერა „მაშინ როცა გიხარია“ შეასრულეს და მართლაც რომ მსმენელები გაახარეს.

სიმღერა „მეგობრობა“ იმღერეს №1 ბაღის აღსაზრდელებმა. „მეგობრობის სიყვარულით ავამღერებთ ჩვენს პატარა გულებს“, ისმოდა სცენაზე და მსმენელების, ოვაციებიც დაიმსახურეს.

„ეს ლამაზი მთები, ყვავილების მდელო... მოვიარე სიმღერით, მთელი საქართველო!“ ამ სიმღერით, ტრანსპარანტებით, დროშებით, უდიდესი ოვაციებითა და ლამაზი ხმებით მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის სცენა აივსო და დარბაზი აახმიანეს. მათ სამშობლოს უტკბილესად უმღერეს ულამაზესი სიმღერა „მოვიარე საქართველო“. ესენი ხობის №2 ბაღელები იყვნენ.

ბავშვებმა მართლაცდა გაგვახარეს, სიმხნევე და მომავლის რწმენა ჩაგვინერგეს. ეს საოცრად ლამაზი დღე იყო. დღე, რომელიც მხოლოდ ბავშვებს ეძღვნებოდათ და თითოეული მაყურებელი და მსმენელი მისი მონაწილე გახლდათ.

აპლოდისმენტები არ ცხრებოდა, მხიარულებამ ზენიტს მიაღწია.

ამ ლამაზ დღეს პატარები და საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები ერთმანეთს განა მარტო ცეკვებითა და სიმღერებით ატკბობდნენ, ისინი ერთურთს ჩაცმულობითა და სილამაზითაც ეჯიბრებოდნენ და მართლაც, გაუმართლათ. ყველანი ლამაზები, მიმზიდველები და მომხიბვლელები, კარგი მოცეკვავეები, მომღერლები და ლაღები იყვნენ.

თქვენ ყველანი გამარჯვებულები ხართ და მიიღეთ უთვალავი თბილი მზერა, დალოცვა და მქუხარე ტაში...

პატარებმა უთბილესი სიტყვები მოისმინეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა ქაჯაიასგან და მათი უშუალო ხელმძღვანელის, გაერთიანების დირეტორის ელისო კვიკვინიასგან. მათ მრავალ ლამაზ დღეთა სიმრავლე უსურვეს ყველა პატარას.

ლამაზი დღეები, უღრუბლო ზეცა და მშვიდობიანი დღეების მეგზურნი ყოფილიყავით ჩემო პატარებო!..

გილოცავთ! მრავალჟამიერ!

***ნანი კილასონია.***

ხობის მოამბე

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.

სარედაქციო კოლეგია:
მერი ლაგვილავა (ნომრის პასუხისმგებელი მორიგე),
ნანი კილასონია,
როზეტა შულაია,
ბორის ბერაია,
ბექან ნადარაია,
ირაკლი შონია,
თამთა ბუკია.
ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე